№ 136 მთავრობის მოამგე ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, ივნისის 20 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან- სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვაღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

შაბათს, ივნისის 26-ს

სახელმწიფო თეატრი
საღამო კომკოზიტორ სულხანიშვილის მუსიკისა

I

1. ქართული ეროვნული ჰიმნი „ღმერთო ღმერთო“ შეასრულებს კაპელა და დიდი სიმებიანი ორკესტრი. კომპ. არაყიშვილის დირიჟორობით.

II

1. ვ. კოტეტიშვილი: „უმზეო კომპოზიტორი“, 2, კომპ. არაყიშვილი. „სულხანიშვილის ხსოვნას“, 3. ალ. ახმეტელი: „მოგონება“, 4. გ. ქუჩიშვილი. ლექსი „შენ სამარეს თან“.

III

1. სულთა თანა“: შეასრ. კაპელა, 2. „მაშ გამარჯვება„ შეასრ. კაპელლა, 3. „მესტვირული“, შეასრ. კაპელლა. სოლოს შეასრ. ცნობილი ბარიტონი მღ. და სალარიძე. 4. „დაიგვიანეს“ არია მწყემსისა ოპ. პატარა კახიდან, შეასრ. ივ. სარაჯიშვილი, 5. ‘ძლივს მარტო დავრჩი“, არია ირაკლისა ოპ. პატარა კახიდან შეასრ. მ. ნანობაშვილი, 6. „მო, ზუალო“ უკანასკნელი ნაწარმოები—რომანსი განსვენებულისა, შეასრ. ივ. ბიწკინაშვილი, 7. „წმინდაო ღმერთო“ ტრიო ბ. ბ. შაშიანელი, გარეკახელი და გურჯანელი, 8. „ტურფავ მოდი“, პირველი ნაწარმოგანსვენებულისა ახალგაზდობაში—შეასრ. იგივე ტრიო. 9. „გუთნური“—სიმფონია შეასრ. კაპელლა, სოლოს შეასრ. ივ. ბიწკინაშვილი, 10. „სამშობლო ხევსურისა“, შეასრ. კაპელლა. სოლოს ივ. ბიწკინაშვილი.

IV

1. აპოთეოზი—სცენა ოპ. „პატარა კახიდან“ ქოშის მთაზე ალ. მაისურაძის გუნდი.

მთელი შემოს ვალი გადიდება განხვენებულის ოჯახის სასარგებლოდ

დასაწყისი საღ. 8-ნახევარ ს.

ბილეთები დღეიდანვე, იყიდება თეატრის კასაში

656 3—1 საღამოს გამგე ალ. ახმეტელი

შაბათს, ივნისის 26 ს

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მის მიერ გახსნილია **ავტომობილებით მიმოსვლა** ტფილისიდან კოჯორ-მანგლისამდე კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ავტომობილები გადიან თავისუფლების მოედნიდან (ქალაქის თვითმართველობის გვერდზედ) დილის 7 საათზედ. ფასი თითო სულზედ კოჯორამდე 345 მან., მანგლისამდე—1430 მან.

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების სატრანსპორტო განყოფილებაში (რესპუბლიკის ქუჩა № 8) ყოველ დღე დილის 8 საათიდან—2 საათამდე.

ახლო მომავალში გაიხსნება პირდაპირი ყოველდღიური მიმოსვლა ტფილისიდან კოჯორამდე.

653 2—2

ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია

კვირას, 1920 წ. 4 ივლისს დილის 10 საათზე, ბანკის ბინაზე (ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5). კრების საგანი:

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ანგარიშისა.
2. 1919 წლის წმინდა მოგების განაწილება.
3. 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდება ხუთამდის.
5. არჩევნები გამგეობის წევრებისა ნაცვლად გამგეობის თავმჯდომარის ი. ლორთქიფანიძისა და გამგეობის წევრების რ. დათეშიძის და რ. დუმბაძისა, რომლებმაც სამსახურს თავი დაანებეს და ორი ახალი წევრისა.
6. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.
7. მიმდინარე საკითხები.

თუ დანიშნულ დღეს არ გამოცხადდა აქციონერთა საკმაო რიცხვი (§ 66), იმავე ადგილას, კვირას, 18 ივლისს, დილის 10 საათზე გაიმართება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე აქციონერთა რაოდენობისა. (§ 67).

შენიშვნა: უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის უფლებას აქციების პატრონთ, თუ აქციები წარდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და უკან აღარ წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობანი (ხელწერილნი) იმისა, რომ აქციები მიუღია შესანახად ანუ გირაოდ როგორც სახელმწიფო, ისე მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით არსებულ საკრედიტო დაწესებულებას. ამ მოწმობებში უნდა იქმნას ნაჩვენები აქციების ნომრები.

644 4—2

ოფიციალური განყოფილება

კანონი

მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატის დამტკიცებისა.

1. დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 20-ს დეკრეტით დამტკიცებული მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატის ნაცვლად (კან. კრ. 1920 წ. № 3, დეკრ. № 15) დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატი თანახმად კანონთან დართული ნუსხისა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე ორმოცდა ოთხი მილიონი ოთხას ოთხმოცდა თექვსმეტი ათას ხუთას სამოცდა ოთხი (44.496,564) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატში გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივნისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

შტატი.

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მ ა ნ ე თ ი.		
	1. მინისტრის საბჭო.				
1	საბჭოს წევრი	2	5000	60000	120000
2	მდივანი	1	2500	30000	30000
	სულ	3	—	—	150000
	2. სამინისტროს კანცელარია.				
1	დირექტორი	1	5000	60000	60000
2	ვიცე-დირექტორი	1	4500	54000	54000
3	საგანგებო მინდობილებათა სპეციალისტი	1	4000	48000	48000
4	მინისტრის მდივანი	1	2500	30000	30000
	სულ	4	—	—	192000
	ა) სპინსპექტორო განყოფილება				
1	განყოფილების გამგე	1	3000	36000	36000
2	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
3	წიგნთ-საცავისა და არქივის გამგე	1	2000	24000	24000
4	ეგზეკუტორი	1	1700	20400	20000
5	რეგისტრატორის გამგე (იგივე საქმის-მწარმოებლის თანაშემწე)	1	1500	18000	18000
6	რ. გისტრატორი	4	1300	15600	62000
7	კანცელარიის მოხელე	2	1300	15600	31200
8	მანქანით გადამწერი	4	1300	15600	62400
9	შიკრიკი	6	1225	14700	88006
	სულ	21	—	—	36660
	სულ კანცელარიისთვის	25	—	—	558600
	II. აგრარულ რეფორმათა განყოფილება.				
	ა) ცენტრალი დაწესებულება:				
1	განყოფილების გამგე	1	5000	60000	60000
2	მისი თანაშემწე	1	4000	48000	48000
3	მინისტრის რწმუნებული	2	4000	48000	96000
4	ინსტრუქტორი	4	4000	48000	192000
5	მდივანი	1	2500	30000	30000
6	საქმის მწარმოებელი	1	2000	24000	24000
7	მისი თანაშემწე	1	1500	18000	18000
8	მოანგარიშე	1	1800	21600	21600
9	რეგისტრატორი	2	1300	15600	31200
10	მანქანით გადამწერი	2	1300	15600	31200
11	შიკრიკი	1	1225	14700	14700
	სულ	17	—	—	566700
	ბ) ადგილობრივი დაწესებულებნ:				
1	საადგილ-მამულო განყოფილებათა გამგე (სამაზრო ერობებთან)	20	3500	42000	840000
2	საადგილ-მამულო განყოფილებათა ინსტრუქტორი (თითო განყოფილებას ორ- ორი ინსპექტორი)	40	2000	24000	960000
3	განყოფილების საქმის-მწარმოებელი	20	2000	24000	480000
4	სარაიონო კომისიის მდივანი	160	3000	36000	5760000
	სულ	240	—	—	8040000
	სულ განყოფილებას	257	—	—	8606700

1920 წ. ივნისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 28 ივნისს, 1920 წელს, შუადღის 12 საათზე აღნიშნულ განყოფილების ბინაზე დანიშნულია შეჯიბრება კოჯორის საშტაბო ავარაკში მდებარე ყოფილ „რ ო ტ ონ დ ო“-ს შენობის გაცემაზე მიმდინარე საზაფხულო სეზონში, რესტორანის, სასადილოს ან სინემატოგრაფის მოსაწყობათ. პირობების შეტყობა შეიძლება საიჯარო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდის, ხოლო გასაცემი შენობის დათვალიერება კი ყოველ დღე კოჯორში.

655 1—1

კანონი

სამხედრო მფრინავთა ჰაერში ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემისა.

1. დაწესდეს ავიო-სპეციალისტების სათანადო უფროსის ბრძანების თანახმად ჰაერში ფრენისათვის ჯამაგირის დამატებად გასამრჯელო.

ა) სროლის კორეკტირობისათვის.
ბ) რადიო დეპეშის გზავნისათვის.
გ) აჰერო ფოტოგრაფიისათვის.
დ) ტყვიის მფრქვეველის სროლისათვის.
ე) ჰაერო აღლუმისათვის (საჰაერო ტაკტიკა).
ვ) ჰაერში ვარჯიშობისა და
ზ) ყუმბარების ტყორცნისათვის.

2. განისაზღვროს $^1/_2$ საათით მინიმუმი იმ დროისა, რომლისათვისაც გასამრჯელოს მიცემა დაწესდება,

3. ავიო-სპეციალისტებს გასამრჯელო უნდა ეძლეოდეთ ამასთან დართული ნუსხის თანახმად.

4. ჰაეროპლანების გადაცემის დროს, მფრინავი გადამცემი მიიღებს დამატებით თვითეულ, ნაცადი ჰაეროპლანისათვის—600 მან.

5. ჰაერში ყოფნის დროს უდიდესი ხანგრძლივობა, რომლისათვისაც გასამრჯელო ეძლევათ მფრინავებს განსაზღვრული იქნეს 15 საათით თვეში (ფრენის საათობით რაოდენობის გამორკვევა ყოველ თვიურად სწარმოებს).

6. ეს კანონი გავრცელებულ იქნეს ყველა სამხედრო მოსამსახურეზე, რომელიც გამართავს ფრენას უფროსთა ბრძანების თანახმად.

7. კანონი ესე ძალაში შედის ამა წლის თებერვლის 1-დან.

1920 წ. ივნისის 8.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ნუსხა

სამხედრო მფრინავთა ჰაერში ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემისა.

პირველი ნახევარი საათი . . .	105 მ.
მეორე „ „ . . .	90 მ.
მეორე საათი	180 მ.
მესამე „	165 მ.
მეოთხე „	150 მ.
მეხუთე „	135 მ.
მეექვსე „	120 მ.
მეშვიდე „	105 მ.
მერვე „	90 მ.
მეცხრე „	75 მ.
მეათე და შემდეგი	60 მ.

1920 წ. ივნისის 8-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

სამხედრო მინისტრისაგან

რესპუბლიკის ჯარებს

კამანდირებო, ჯარისკაცნო და გვარდიელებო, მოგილოცავთ ადერბეიჯანთან ზავს. თქვენ იცით, რომ ამ თვე ნახევრის წინ რუსეთის ლაშქარმა გადმოლახა სამხრეთ რუსეთი და ჩრდილო კავკასია, რამდენიმე საათის განმავლობაში გადმოთელა ადერბეიჯანის რესპუბლიკა და ამ უკანასკნელთან ერთად და მის დროშის ქვეშ თქვენ საყვარელ საქართველოსკენ გამოეშურა იმ იმედით, რომ თუ რამდენიმე საათი არა, რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც დაამხობდა თქვენ ხალხურ დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაგრამ ანგარიში წაუხდათ.

თქვენში შეგნება, ვაჟკაცობა და სიმამაცე სამშობლოსადმი სიყვარული და კაცურ-კაცობა ერთად შედუღდა და სალკლდეთ გადაეღობა წინ მომხდურთ. თქვენ წმინდა სახალხო საქმეს იცავდით, სხვისი წახდენა არ გინდოდათ და არც გინდათ, მაგრამ არც თავს დააჯაბნინებთ სხვას. თქვენ მართალ საქმეს იცავდით და კიდეც გაიმარჯვეთ. უკუქცეულმა მტერმა ბოდიში მოიხადა და ზავი გთხოვათ.

თქვენმა ხალხურმა მთავრობამ მიბრძანა მე: რადგან მტერმა ზავი გვთხოვა, ჩვენ ხომ მუშისა და გლეხის ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი არ გვინდოდა, თუ კი თავს არავინ გვესხმის, მაშ წადი შენ და როგორც ჩვენი მხედრობის მინისტრმა, ისეთი ზავი შეჰკარი, როგორც ჩვენ სასიქადულო მხედრობასა და ვაჟკაცობას ეკადრება. თანახმათ მთავრობის ასეთი ბრძანებისა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად შევხვდით მოწინააღმდეგეთა წარმომადგენლებს და ხანგრძლივი თათბირის შემდეგ საქართველოსა და ადერბეიჯანის შორის შეიკრა ზავი და მეგობრობის პირობა. ზავი, რომელიც ჩვენს შორის დაიდო პატიოსანი და გულწრფელი ზავია. საქართველოს რესპუბლიკამ არ ისარგებლა იმ ძნელი მდგომარეობით, რომელშიაც ადერბეიჯანი ჩავარდა და სულმდაბლურად არ გაუჭირა მას თოკი ყელში.

ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი საზღვრების უზრუნველყოფა. მივიღეთ ორი საპოზიციო მთა გრეხილი წითელი ხიდის მიდამოებში გავავლეთ მტკიცე საზღვარი ორ რესპუბლიკათა შორის. ადერბეიჯანის ტერიტორიაზე ჩვენ საზღვრებთან განსაზღვრული ადგილები ნეიტრალურად გამოცხადდა, სადაც ისინი ჯარებს ვერ შემოიყვანენ, ზაქათალის ოლქის საკითხის გადაჭრა უსისხლოთ, სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, გადავწყვიტეთ, ხოლო მანამდე კი ადერბეიჯანს არა აქვს უფლება შემოიყვანოს შიგ ჯარი და ოლქში მათთან ერთად უნდა ჩადგეს ჩვენი საკონტროლო კომისია. საკმარისათ უზრუნველყოფილ იქმნა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ინტერესები. ამ გვარად თქვენის მეოხებით შეიკრა პატიოსანი და თქვენი საკადრისი ზავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მოლაპარაკების დროს მშვიდობიანობის წყურვილი და გულწფელობა გამოიჩინეს, ხოლო მომავალისათვის ძმობა შემოგვფიცეს. ჩვენ ხომ უმისოდაც ყოველთვის და ყველასთან ძმობისა და კეთილ მეზობლობის მომხრენი ვართ (თუ კი თავს არავინ გვესხმის) და ჩვენც სამაგიეროთი ვუპასუხეთ. უნდა გითხრათ, თუ რა გაოცებულნი არიან იქაური ჯარისკაცები თქვენი მამაცობითა და შეგნებით, ამდენ ქვეყნებში გამოვიარეთო, ამბობენ ისინი, და აბა როგორ ვიფიქრებდით, თუ ეს ერთი ნამცეცი საქართველოს რესპუბლიკა ასეთი სასტიკ წინააღმდეგობას გაგვიწევდა. თუმცა გაგონილი კი გვქონდა ქართველების მამაცობის შესახებ, მაგრამ თუ ეს ერთი მუჭა ხალხი ამას იზამდა, ეს კი არ გვეგონაო. თანაც დასძენდნენ, რომ ჩვენმა მეთაურებმა მოგვატყუილეს: ისინი გვეუბნებოდენ, რომ საქართველოში ძველი რეჟიმია იქ მემამულეების მთავრობაო. მუშები და გლეხები თავადაზნაურებს ჰყავთ დამონებული და აი სწორეთ ქართველი მუშები და გლეხები გვთხოვენ მივეშველოთ და გავანთავისუფლოთო, თანაც გვეუბნებოდენ, რომ ჩვენმა გაგზავნილმა კომუნისტებმა შიგ საქართველოში უკვე მოახდინეს აჯანყება, ძალა უფლება ხელთ იგდეს და ეხლა ჩვენგან მხდლოდ მიშველება ესაჭიროებათო. ეხლა კი გავიგეთო, ნაღვლიანათ დასძენდენ იქაური ჯარის კაცები, რომ ჩვენ მოგვატყუილეს, ვინაიდან თქვენ თურმე ხალხური რესპუბლიკა გქონიათ, მემამულეებისათვის მიწა უკვე ჩამოგირთმევიათ, თქვენს მუშებს და გლეხებს ჩვენგან არავითარი დახმარება არ უთხოვიათ და საერთო რევოლიუცია თურმე თქვენშიდაკ ყოფილაო,—ან კი როგორ იქნებოდაო, დასძინა ერთმა ასტრახანელმა მუშა წითელ არმიელმა, თვით რუსეთში განა მაგათ არ დაიწყეს ეს საქმე პირველათაო.

ამ გვარათ ძმური და მეგობრული სიტყვით დავშორდით ერთ მეორეს ძმობასა და მოყვრობაში ჩვენ ხომ ტოლს არავის დავუგდებთ და ჩვენს სიტყვას წმინდათა და პირნათლად შევასრულებთ. მაგრამ ისიც ყველამ იცის და უნდა იცოდეს, რომ ღალატსა და მუხანათობას არ დავინდობთ და სასტიკათ დავსჯით.

საქართველოს მხედარნო, სამშობლო კერის დამცველნო, თქვენის მეოხებით ჩვენმა რესპუბლიკამ საპატიო ზავი შეკრა რუსეთთან და აზერბეიჯანთან. ჩვენ ამ ჟამათ არც ერთ სახელმწიფოსთან აშკარა ომი არა გვაქვს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გარეშე და შინაური მტერნი ჯ მოშურნენი ვერ ისვენებენ. ეს იუდა მოღალატენი თვით თქვენ შორისაც კი დაწანწალებენ, გველებივით დასისინებენ, უნდათ თქვენი დაშხამვა, მათი განზრახვაა თქვენი ერთობის ციხე შიგნიდან გასტეხონ და მით თქვენი სისხლითა და ოფლით აშენებული ქვეყანა გაანადგურონ და დააქციონ. ისინია, რომ ოსებს აჯანყებენ და უსევენ ქართველებს, ამ მოსყიდულ მოღალატეებს უნდათ შიგნით შევვიქნან არეულობა, რათა თქვენ და მთელი ქართველი ხალხი სისხლის მორევში ჩაგახჩონ. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება, მათი მიზანია კი რაც შეიძლება მეტი არეულობა, შფოთი და სისხლის ღვრა. მაშ არ დაინდოთ ეს იუდა მოღალატენი, ეს გაშმაგებული მგლები, რომელნიც ხშირათ ცხვრის ქურქში ეხვევა და ტკბილსა და მოქარგულ სიტყვებს ჩაგჩურჩულებთ. ხომ იცით როდესაც იუდა ქრისტეს ძმურათ ეამბორებოდა, სწორეთ იმ წამში ეწეოდა გამცემლობას. არ დაინდოთ მოღალატენი, შხამიანი გველის წიწილები უნდა გაისრესოს, ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ბედნიერება. მთელი ქართველი ხალხის მტკიცე ნებაა და მისი მთავრობის ურყევი გადაწყვეტილება, რომ რკინის ცოცხით გასწმინდოს და დაჭარგოს ღალატის ბუდეები და გველვარებული შანთით ბოსწვას ჩვენი ეროვნული სხეულს ის დაჩირქებულნი ადგილები და მუწუკები, რომელნიც მთელ ორგანიზმს მოწამლასა და დაღუპვას უქადის. ღალატი ძირბუდიანად აღმოიფხვრება. გარედან მტერმა ვერ დაგაკლოთ, მაშ ფრთხილათ, მამაცნო, შიგნიდან არავინ გასტეხოს თქვენი შეგნებისა და ერთობის ციხე.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ თქვენ მიერ მოპოებულ საპატიო ზავს. გაუმარჯოს ჩვენ მამაც მხედრობას.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

მდგომარეობა ბათუმში,

ბათუმის სადგურის უფროსმა 18 ივნისს დეპეშა გამოგზავნა, რომ ინგლისელები ანადგურებენ ფორტების დიდი კალიბრის ზარბაზნებს. ბარცხანის ფორტიდან ჩამოიღეს და ააფეთქეს ყველა ზარბაზნები. ასევე ეპყრობიან სხვა ფორტებსაც. დამატებითი ცნობებით ბათომში გამეფებულია აზრი, რომ ინგლისელებმა გადასწყვიტეს თვით ფორტის აფეთქებაცო. ქალაქში შორიდან აფეთქების ხმა ისმის. ქალაქში მღელვარებაა. გამოურკვეველი მდგომარეობას უფრო მეტი ნერვიულობა შეაქვს მცხოვრებლებში. მთავრობის წარმომადგენლები გაჩუმებულნი არიან და არავითარ განკარგულებას არ იძლევიან მახლობელ პერსპექტივების შესახებ.

ჩვენი ცნობებით საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ამის გამო პროტესტი გაუცხადა ინგლისის კომისარს საქართველოს მთავრობის სახელით.

19 ივნისს ბათომში საჩქაროთ გაემგზავრა ექსპლოატაციის უფროსი აბელოვი. მისი წასვლა დამოკიდებულია ბათომის სადგ. უფროსის განცხადებაზე აფეთქების შესახებ. აბელოვს წინადადება მისცეს მიიღოს შესაძლებელი ზომები, სახელმწიფო ქონების გადასარჩენათ და დააჩქაროს ქალაქიდან ნაყიდ სურსათის და უმთავრესათ ამერიკულ ფქვილის გამოზიდვა.

სამხედრო ცნობა

მთავარი შტაბისა, ტფილისი 19.

როყის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა 18 ივნისს გამაგრებულ პოზიციებიდან მტერი კოშკის ჩრდილოეთით გადარეკეს და სოფ. წარითი დაიკავეს. მტერმა ლიახვზე მყოფი ხიდი გააფუჭა. შეტევა გრძელდება. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

დამფუძნებელი კრება

18 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა შემდეგი საბოლოო ტექსტები: დეკრეტი მექარხნისაგან სააქციზო უწყების მოხელის დასაქირავებლად ხარჯის გაღებისა; საერობო გზების მოსამსახურეთა თვის დამატებითი გასამჯელოს მისაცემად 144.430 მან. გადადების შესახებ; მუშა-მოსამსახურეთათვის პირველ მოთხოვნილების საგნის მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 12 მილ. მან. გადადების შესახებ; ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მეორე განყოფილების სისტემის სარწყავის დასამთავრებლად 9.168.000 მან. გადადების შესახებ; სოხუმის ქალაქის სასამართლო უბნის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა და დეკრეტი 3 მილ. მან. გადადების მიხეილ-არამიანცის ჩამორთმეულ სახლის ფასის ასანაზღაურებლად.

ი. ფირცხელაიშვილი. იურიდიული კომისიის სახელით და **დ. ონიაშვილი** საბ. საფინ. კომისიის სახელით მოახსენებენ კანონ-პროექტს საპყრობილეთა დამცველი რაზმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. კანონ-პროექტი ზოგადად მიღებულ იქნა უკამათოდ და მუხლობრივათ განხილულ იქნება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

ი. ფირცხელაიშვილის და **გრ. გიორგაძის** მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა ტფილისის სასამართლო პალატის შტატის დამატების შესახებ.

ი. ფირცხელაიშვილის მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა საპატიმროთა საქმის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

კობალეიშვილის და **ონიაშვილის** მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი მიწათ-მოქმედების საიჯარო განყოფილების საერთო შემოსავლიდან 20 პროცენტი ეროვნათა სასარგებლოთ გადადებისა.

ნ. ომნაიშვილის მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი მობილიზაციით გაწვეულ ჯარის-კაცთა და გვარდიელთა ოჯახების დახმარებისა; მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მიწის ძვრის გამო გორის გარნიზონის სხვა და სხვა ადგილას დასაბინავებლად გაწეულ ხარჯის დასაფარავად 5.246.493 მან. გადადებისა.

მელ. რუხიას მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა ქ. ფოთის სასარგებლოდ ნავთსადგურით შემოტანილ და გატანილ საქონელზედ საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ.

დეკრეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის მოქმედების განგრძობისა.

დ. ონიაშვილი. 1918 წლიდან არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო რაზმი. ეს რაზმი დროებით იყო დაარსებული და კანონ-მდებელმა ორგანომ გაითვალისწინა რა მისი საჭიროება ოთხჯერ გაადიდა რაზმის მოქმედების ვადა. ამ წლის ივლისს თავდება მისი მოქმედების ვადა და წარმოდგენილ დეკრეტით მისი ვადა გაგრძელებულ უნდა იქნას მომავალ საბიუჯეტო წლამდე. დეკრეტი კომისიებში მიღებულ იქნა იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილ იყო მხოლოდ შტატში აღნიშნული რაზმის იურისკონსულტის თანამდებობა გაუქმებულ იქნა და სამაგიეროდ მიემატა უფროსის ერთი თანაშემწე. დეკრეტს დართული აქვს დასკვნა, როგორც ფინანსთა უწყების, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის.

ლ. შენგელაია აღნიშნავს, რომ ორი წლის არსებობა ამ რაზმისა იმაში გამოიხატა, რომ არ დარჩენილა არც ერთი რევოლიუციის მონაპოვარი, რომ ამ რაზმის მიერ არ ყოფილიყოს შეგინებულ-შეურაცყოფილი. ოთხჯერ იყო განგრძობილი რაზმის მოქმედების ვადა და დღეს მეხუთედ უნდა მიეცეთ დასტური ამ უკანონობას. რაზმის დაარსების დროს არა ჩვეულებრივი პირობები იყო, მაშინ მდგომარეობა მერყევი იყო. დღეს კი საგარეო მდგომარეობა ჩვენი უკეთესია და იმის მაგივრათ, რომ დროებით დარჩეს იგი, რაზმს ერთი წლით აკანონებენ. იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ჯარი და გვარდია რაღა საჭიროა რაზმი, რომელიც სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენს და მისი სათარეშო ასპარეზი მთელი ჩვენი რესპუბლიკა არის. როგორც ხმები დადის, ამბობს ორატორი, რამიშვილს მაინც და მაინც გვარდიაში არ უყურებენ კარგად და ამიტომაც საკუთარი გვარდია შექმნა ამ რაზმის სახითო. ასეთივე გვარდია ყავს იუსტიციის მინისტრ არსენიძესო (ხმები: სირცხვილია ასეთი ჭორიკანობა. ეს არ შეეფერება დეპუტატის ღირსებას). შემდეგ ამისა შენგელაია აღნიშნავს, რომ საგანგებო რაზმელები მუშათა კრებებსაც ესწრობიან, როგორც იყო სოხუმის ოლქში, ტფილისის პროფესიონალურ კავშირებში და სხვა.

ბენია ჩხიკვიშვილი აღნიშნავს, რომ მას ხშირად მოუსმენია ესერების სიტყვები, ყოველთვის ცდილან ისინი თავიანთ სიტყვების თუნდა ყალბი საბუთებით დასაბუთებას, მაგრამ დღეს ესეც არ იყო. შენგელაიას სიტყვა ეს იყო უბრალო ოხუნჯობა და სხვა არაფერი. განა სერიოზული სოციალისტი იტყვის, რომ სოც.-დემ. დამცველია რეაქციონერების და სიშჩიკებისო. განა ორატორი, რომელიც თავის თავს პატივსა სცემს, ასეთ ჭორს შესთხზავს და იტყვის, რამიშვილი გვარდიას ეჯავრება და მიტომ დაარსა თავისი გვარდიაო. არ მგონია ასეთი იაფი დემაგოგიით შეიძინოთ რამე. რა სთქვეს არსებითად. არაფერი. ჩვენ არ დაუჭერთ მხარს წარმოდგენილ დეკრეტსო. თუ მართლაც გსურთ ემსახუროთ სახელმწიფოს და დაიცვათ მისი ინტერესები ასეთ რაზმს მხარი უნდა დაუჭიროთ. არა ერთხელ ყოფილა საქართველო ისეთ მდგომარეობაში, რომ დროზე ზომები არ ყო-

ფილიყოს მიღებული, რომ წინასწარ არ გვ-ცოდნოდა მტრის გეგმები ჩვენ დავმარცხდებოდით. ერთი რამ უნდა ვსთქვათ, ან არ გინდათ ჩვენი სახელმწიფოს არსებობა და თუ გსურთ იგი, მაშინ არ იცით, როგორ ესაჭიროება სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა და თუ იცით ყოველივე ეს და ის რასაც გაიძახით შეგნებული გაქვთ, მაშინ ერთად-ერთი დასკვნა შეგვიძლიან გამოვიტანოთ ისეთი, რომ თქვენ მტრები ხართ ჩვენი ქვეყნის. ავიღოთ თქვენი იდეალური სახელმწიფო, რომელსაც არ ასახელებთ, მაგრამ თვალები მაინც იქით გიჭირავთ. იქ უმცირესობამ უმრავლესობას მოახვია თავზე თავის ბატონობა და მერე რა საშუალებით იცავს თავის ძალა-უფლებას. თქვენ გაიძახით სიშჩიკები ყავს სახელმწიფოსო. რას ნიშნავს ეს. განა თქვენ პარტიას არ ყავდა საკუთარი სიშჩიკები, რომელთა მოვალეობაც იყო ძველი მთავრობის მოხელეთა დაზვერვა, მათი მოქმედების გეგმის შეტყობა და სხვა. ეს თქვენი პარტიის დამამცირებელი კი არ იყო, ეს იყო მეთოდი ბრძოლის. და თუ პარტიას შეუძლიან იყოლიოს აგენტები, რატომ არ შეუძლიან აგენტების ყოლა. სახელმწიფოს. აქ გაიძახიან პარტიულ კრებებებზე დაიარებიან აგენტებიო. ის პოლიტიკური პარტიები, რომელთა პლათფორმაც ჩვენ ვიცით იქ არავინ შეიჭრება და მათ უფლება აქვთ, როგორც უნდათ და სადაც უნდათ იქ მართონ კრებები, მაგრამ როდესაც იცით რომ ზოგიერთ თუ თუნდაც მუშათა კავშირებში, იმ დროს, როდესაც ჩვენ მრავალ გარეშე მტერი გვახვევია, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებებს ამზადებენ, მაშინ სახელმწიფო მოვალეა ალაგმოს, მისი ძირის გამომთხრელნი. უკბილოა თქვენი ოხუნჯობა, როდესაც ამბობთ, რომ რამიშვილს ცუდი განწყობილება აქვს გვარდიასთან და მიტომ შექმნა საგანგებო რაზმიო.

თქვენ კარგათ იცით ის განწყობილება, როგორიც სუფევს მთავრობაში, გვარდიაში და სხვაგან და რათ დაგჭირდათ ჭორების თხზვა. ერთი ახირებული აზრი წარმოსთქვა შენგელაიამ, რათ გინდათ საგანგებო რაზმი, როდესაც ჯარი და გვარდია გყავთო. განა ჯარი და გვარდია უნდა აკეთებდეს იმას, რაც დაკისრებული აქვს საგანგებო რაზმს.

თუ თქვენ წინაალმდეგი ხართ რაზმის, გვასწავლეთ რა საშუალებით შეპყრობილ და ალაგმულ იქნებიან მოღალატეები. აქ გაიძახით პიროვნების თავისუფლებაზე, დემოკრატიულ. პრინციპებზე „უნდა იცოდეთ, რომ სოც.-დემოკრატიამ თქვენზე კარგად იცის და აფასებს და იბრძვის კიდეც პიროვნების თავისუფლებისათვის და დემოკრატიულ პრინციპებისათვის. სოც.-დემ. იცავს იმ რაზმს, რომელსაც დაკისრებული აქვს ჩვენი სახელმწიფოს დაცვა მავნე ელემენტებისაგან. (ტაში)

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ის პარტია, რომელიც მოკლებულია ყოველივე ნიადაგს და თავის უსუსურობას ააშკარავებს იმით, რომ ათასჯერ თქმულ გაზეპირებულ სიტყვებს ლექციის სახით ყოველთვის კითხულობს, აქ დღეს ჭორიკანობის პარტიად გამოდის. თქვენ განაცხადეთ, რომ განსაკუთრებული რაზმი მიტომ დასჭირდათ რამიშვილებს, რომ სახალხო გვარდიის წინააღმდეგი რაზმი შეექმნაო. გვარდია რამიშვილთან ცუდ დამოკიდებულებაში არის და ეს არის მიზეზი რაზმის არსებობისაო. ნუ თუ ესერების დაქვეითება იქამდე მივიდა, რომ აშკარა ჭორი გამოიტანა აქ. მე მოვიყვან ერთ ფაქტს, რომ სწორედ სახალხო გვარდია ფრაქციასთან ერთად მოითხოვდა, რომ დავრჩენილიყავ იმ პოსტზე, სადაც გვარდიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ვიქნებოდი. დიაჰ მე ვიმეორებ, რომ ამ ღამაღლეს ტრიბუნიდან წარმოსთქვით ჭორი. თქვენ ილაშქრებთ საგანგებო რაზმის წინააღმდეგ და მსჯელობთ ისე, როგორც მსჯელობდენ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოში. იქ გაიძახდენ სომხეთში მხოლოდ სომხები სცხოვრობენ და ყველა დაიცავს ჩვენ დამოუკიდებლობასო და რათ გვინდა წინასწარ რაიმე ზომების მიღებაო. მაგრამ როდესაც მწარე გამოცდილებამ დაუმტკიცა მათ სულ სხვა ერთ მართველთ პირის დეპეშაში ასეთი ფრაზა ეწერა: „мы оріентируемся на Рамишвили“. იქ მიხვდნენ, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვა თქვენის მეთოდებით არ შეიძლება. თუ თქვენ მარტო ჭორიკანობა არ გაინტერესებთ უნდა იცოდეთ, რომ დღეს გაცილებით მეტი ანტი სახელმწიფოებრივ ელემენტები არიან ჩვენში და თუ თქვენ დღეს საშუალება გეძლევათ აქ თავისუფლად ბრძანდებოდეთ და ასეთ სიტყვებს გაიძახდეთ, ეს მიეწერება იმ ზომებს, რომელიც მიიღო და მიიღებს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. შეიძლება თქვენ ფიქრობდეთ, რომ მას შემდეგ რაც ჩამოვარდა ზავი ჩვენ და რუსეთს შორის აღარ იყოს საჭირო რაზმი. თუ თქვენ გაქვთ პოლიტიკური უნარი, უნდა გრძნობდეთ, რომ დღეს უფრო საჭირო არის. იქნება გვონიათ მაგ ფრაზებით ვისიმე გული მოიგოთ, არა მგონია მათ უკვე ახალი პატრონი გაუჩნდათ. მე ვამბობ, რომ საჭიროა ასეთი რაზმი და თუ თქვენ ამას დაინახავთ თუნდ მიხა ცხაკაიას წერილიდან, საიდანაც გამოსჩანს, რომ ბალშევიკებმა შეიძლება კიდევ მოჰკიდონ იარაღს ხელი. მიხა ცხაკაიას გულწრფელობაში კი მე ეჭვი არ მეპარება. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ ესერების მოღვაწეობა აფხაზეთში გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ადგილობრივ დამოუკიდებლებთან ერთად ცდილობდენ მთავრობის შედგენას. რასაკვირველია რაზმი ყველა მოღალატეების წინააღმდეგ მიიღებს ზომებს. აქ ლაპარაკობენ პროვაკატორები იმყოფებიან რაზმშიო. საბუთი? მე არ ვიტყვი იმას, რომ იქ არ ერიოს რომელიმე ულირსი. ეს ადვილი შესაძლებელია, საერთოდ კი რაზმის მოქმედება სათანადო სიმაღლეზე სდგას და ყველანი პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მას შემდეგ რაც რუსეთთან დავდეთ ზავი ჩვენ ვასრულებთ მტკიცეთ არსებულ ხელშეკრულებას მაგრამ არიან ჩვენში ისეთი ელემენტები, რომლებიც უცხო ძალას დიდის გულისფანცქალით მოელიან. ამას თქვენ დაინახავდით მთავრობის ოფიციალურ განცხადებიდან. მრავალი ადგილას სცდილობენ ძველი ნაცადი გზით, იარაღის საშუალებით ჩვენს დაცემას და ნუთუ ასეთ დროს მოდიხართ და გვეუბნებით დაყარეთ ფარ-ხმალი. მე არ მგონია მოიძებნებოდეს შეგნებული ქართველი, რომელმაც მთავრობას ასეთ დროს ურჩიოს იარაღის დაყრა. ჩვენ მივდივართ ძველი ნაცადი გზით და შევქენით ისეთი პირობები, როცა მტრის იარაღი ჩვენსკენ მომართულიჭჰოვებს ყოველთვის საწინააღმდეგო იარაღს (ტაში).

ლ. შენგელაია. აღნიშნავს, რომ უნდა დამტკიცონ ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ საგანგებო რაზმი აუცილებელიაო. ნუ თუ ორი წლის მუშაობით ვერ შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ რაზმები არ დაგვჭირდეს. იძახიან რაზმი კონტრ-რევოლიუციისათვის გვინდაო, მერე სად არის აქ გონებრივი ლოგიკა, შემდეგ ორატორი ეხება აგრარულ რეფორმას, რომელმაც საქართველოს დიდი ზიანი მოუტანაო, გლეხებს ფულით მიყიდეს მიწები და სხვა. რაც შეეხება რუსეთისაკენ ჩვენი ლტოლვა, ეს არ არის სიმართლე, ჩვენ სოც.-დემ. ადრე გამოვეთიშეთ მათო. მოყავს გაზ „ერთობაში“ მოთავსებული მუშის წერილი, სადაც აწერილ იყო ერთი რაზმელის მიერ უკანონო მოქმედება მუშების მიმართ, რომელმაც უკანონოდ შეიპყრო მუშებიო. (ორატორს ადგილიდან რეპლიკებით შენიშნავენ, რომ ეგ „ერთობაში“ სწერია, მაშასადამე ჩვენ თვითონვე ვსჯით და პასუხისგებაში ვაძლევთ ცუდ მოხელეებსო).

დ. ონიაშვილი. ეხება რა შენგელაიას სიტყვას, აღნიშნავს, რომ ესერებმა არავითარი ფაქტები არ მოიყვანს და ისე ზეპირად, რაც მოადგებოდათ ლაპარაკობდენო. ესერების პარტია რუსეთის ცხოვრებამ გარიყა და აქ ჩვენშიაც გარიყულ არიან. აქ სთქვეს რა საჭიროა რაზმიო. სახელმწიფო სიტყვით სწამთ და მათი საქმე კი მიმართულია მის განადგურებისაკენ. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ტყუილია ის მტკიცება, თითქოს კანტროლი წინაალმდეგ ყოფილიყო. წარმოდგენილ შტატების. კანტროლის დადებითი დასკვნა არის, რომელსაც მომხსენებელი კითხულობს. კანტროლი მხოლოდ იურისკონსულტის წინააღმდეგ იყო, ისევე როგორც საბიუჯეტო საფინანსო კომისიაო.

კამათი დასრულდა. დეკრეტი მუხლობრივ უკამათოდ იქნა მიღებული.

დასასრულს **ივ. გოგართელის** მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში კონსტანტინეპოლის და მოსკოვის მისიების ვალების გასასტუმრებლ-ად 388,920 მან. გადადებისა.

ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება

ბენზინის განაწილება

სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროში შოფერთა კავშირიდან შუამდგომლობა შემოვიდა, მიეცეს მათ უფლება ავტომობილებით მუშაობისა იმ პირობით, რომ თავის საჭიროებისათვის ბენზინი თერგის ოლქიდან შემოიტანონ. ბიურომ დაადგინა შოფერთა კავშირის შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს გენ.-გუბერნატორის წინაშე იმ პირობით, რომ მთელი ბენზინი, რომელსაც შოფერები მოიტანენ იქნეს აღრიცხული და შემდეგ თანდათან მიეცეს იგი შოფერებს იმდენი, რამდენიც დღე-ღამეში შვიდ ავტომობილს ეყოფა.

უდიდესი ფასები თამბაქოზე

სააქციზო სამართველოს გამგის ს. ბაქრაძის თავმჯდომარეობით დაიწყო მუშაობა თათბირმა 1918 წელს ოც აგვისტოს დადებულ უდიდეს ფასების სააქციზო გადასახადის შეცვლის შესახებ და აგრეთვე 10% თამბაქოს გაკეთების ნორმის შეცვლის შესახებ. თათბირი განიხილავს აგრეთვე საკითხს, რომელიც იქ არის შეტანილი და რომელიც ეხება თამბაქოს ნაწარმოებებზე არსებულ უდიდეს ფასების შესახებ ძირითადად სისტემის შეცვლის პროექტს და სააქციზო გადასახადის რაოდენობის დაწესებას ქარხნებში საწყობებიდან გაშვებულ ფუთ ფურცლოვან თამბაქოზე—საშუალო აქციზის პრინციპის მიხედვით.

სახელმწიფო გადასახადები.

კასების წინასწარ ცნობებით, რომელიც რესპუბლიკის 14 ხაზინიდან არის მიღებულიმაისის მეორე ნახევარში შემოსულა 49,908162 მან. სახელმწიფო გადასახადების სახით. ეს თანხა მაისის პირველ ნახევარში შემოსულ თანხას 9,074,961 მანეთით აღემატება. ამ თანხიდან საბაჟო გადასახადი 6,515,191 მანეთს უდრის გასულ ნახევრისთვის წინააღმდეგ შესამჩნევი მომატება პირდაპირ გადასახადებს დაეტყო, სახელდობრ მან მოიმატა 8,158,523 მან ნაკლებათ გაიზარდა საბაჟო გადასახადი სულ სახელმწიფო გადასახადი მაისში შემოსულა 90,731,366 მან.

მეაბრეშუმეობის კომპანია.

წარსული წლის 1 ივლისიდან მოყოლებული 1920 წლ. ოც ივნისამდე ხაზინაში მიღებულ 8949 ფ. და 34 გ. აბრეშუმის მშრალი პარკი—უკანასკნელ სამი 1917—1919 წლების მოსავალი. ეს პარკი შემოსულია 102 პარკის მეპატრონე და დაწესებულებებიდან. პარკი საქართველოდან უმთავრესად საფრანგეთსა და იტალიაში გაჰქონდათ.

მალაროთა დათვალიერება.

სამთო სამართველოს უფროსი ინჟენერი ყიფშიძე და საოლქო ინჟენერი ცვიტლინი გაემგზავრენ ჭატაში ქარხნისა და მალაროების დასათვალიერებლად და აგრეთვე იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც საქ. რკინის გზას თუჯს აბარებს.

კერძო სამთო მრეწველობა.

საქართველოში კერძო სამთო მრეწველობის კანონ-პროექტის ძირითად დებულებათა განსახილველად დანიშნული მცირე კომისია შეუდგა სამთო (რუსეთის) წესდებიდან მუხლების გამოძებნასა და გადასინჯვას. მცირე კომისია მუშაობს ი. ა. ყიფშიძის თავმჯდომარეობით, კომისიაში მონაწილეობას ღებულობენ ფინანსთა სამინისტროს მრჩეველი. კოვალენსკი და ინჟენერი მ. ბრაილოვსკი. თავის მუშაობის გათავების შემდეგ მცირე კომისია საქართველოს სამთო წესდების შესახებ დაწვრილებით მოხსენებას წარუდგენს მთავარ კომისიას, რომლის სათავეში სდგას ყოფილი ფინან. მინისტრი გ. დ. ჟურული.

გეოლოგიურ-ტექნიკური კომისია, რომელიც დანიშნულია გორის და მის მიდამოებში.

მიწის ძვრის გამოსაკვლევად თავის მუშაობის ანგარიშს ასრულებს. შეკრებილია ყველა მასალა და ფოტოგრაფიული სურათები. ამ მუშაობის შესახებ უკვე მოხსენება გაუკეთეს ფინანსთა მინისტრს, რომელიც მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა კომიტეტის თავმჯდომარეთ ითვლება.

ნახშირ-მჟავე გაზის შოვა.

ამ დღეებში ბორჯომს მიემგზავრება სამთო სამართველოს. საგანგებო კომისია ნახშირმჟავე გაზის შოვის საშუალების ადგილობრივ გამოსაკვლევად.

სიმინდის თავისუფლად გატანა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის კომისარიატს ამცნო, რომ მთავრობის დადგენილების თანახმად სიმინდის ყიდვა-გაყიდვის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში ეძლევა ყველა ქალაქსა და ერობასო.

1920—21 წლის ბიუჯეტი.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ წარადგინა მოსაზრებანი ფინანსთა სამინისტროში 1920—21 საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, რომელიც შეეხება სავაჭრო-სამრეწველო პალატას და მის ორგანოებს. პალატა თავის შემოსავალს 10 მილ. საზღვრავს. ნავარაუდევია შემდეგი გასავალი: კომერციულ სასწავლებლის შენახვა 2 მილ. მანეთი, მუზეუმის მოწყობა და ექსპონატების შეძენა—900,000 მან. გაუთვალისწინებელი და აუცილებელი ხარჯები, მათ შორის უცხო ბაზართან კავშირის დასაჭერად—500,000 მან. შემდეგ პალატა აღნიშნავს, რომ მას განზრახული აქვს გახსნას კომერციულ მეცნიერების პრაქტიკული აკადემია იმ კომერციული სასწავლებელთან ერთად რომელიც სექტემბერში გაიხსნება, რისთვისაც სასწავლებლის შენობა საღამოობით იქნება გამოყენებული.

ახალი ამბები

იტალიის წარმომადგენლის ჩამოსვლა ტფილისში. იტალიის მისიის ცნობით პოლკოვნიკ გაბბას მოადგილე ბ-ნი მერკატელლი ტფილისში ჩამოვა 21 ივნისს, მერკატელლის შესახვედრათ ტფილისში ჩამოვიდა იტალიის სამხედრო მისიის შტაბის უფროსი ბ. მიბელლი. ტფილისიდან წასვლის წინ 18 ივნისს, გაბბამ გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა ის მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც იტალიასა და საქართველოს შორის დამყარდა. გენეკორმა მადლობა გადაუხადა გაბბას საქართველოსადმი კეთილმეგობრულ და მხურვალე დამოკიდებულებისათვის და აღნიშნა, რომ პოლკოვნიკ გაბბას მოქმედების წყალობით შესაძლებელი გახდა იტალიასა და საქართველოს შორის მეგობრული განწყობილების დამკვიდრებაო.

სახამართლოს ცხოვრება. ივანე ლეონტის ძე ოკუჯავა, რომელმაც ყაზანის უნივერსიტეტი დაასრულა, დაინიშნა გუდაუთის რაიონის გამომძიებლად სოხუმის ოლქში.

ბინის ხაკითხი. იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტს ბინების რეკვიზიციის შესახებ დამფ. კრების თვითმართველობის კომისია იხილავს. კანონ-პროექტი ბინის რეკვიზიციას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სცნობს შესაძლებლად (სახელდობრ, თუ ამას სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საჭიროება მოითხოვს).

რკინის გზებზე ვაგონების მობმის გაუქმება. განკარგულების ძალით რკ. გზებზე გაუქმებულია ექსკურსიისთვის ვაგონების მიბმა.

ცურინოვკასთან მატარებლის გაჩერების გაუქმება. ბრძანებით გაუქმებულია № 4 (3 და 3) 4 მატარებლის გაჩერება სადცურინოვკასთან (შულავერსა და სადახლოს შორის 58 ვერსზე).

ბრიფ. კავშირების საბჭოში. პროფესიონალურ კავშირების საბჭოს სეკრეტარიატის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ჟურნალისტების კავშირის წესდება. დადგენილ იქმნა ამ კავშირის მიღება პროფ. კავშირების საბჭოს შემადგენლობაში.

წ.-კითხვის საზ. კრება. დღეს, 20 ივნისს, დილის 11 საათზე ქართულ სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართ. რესპუბ. წ. კ. გ. საზ. რწმუნებულთა წლიური მორიგი კრება. განსახილველი საგანი: 1. 1919 წლის გამგეობის მოქმედების ანგარიში. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. 3. ინსტრუქცია წ.-კ. გ. საზ. წიგნთ-საცავიდან წიგნებისა და ხელთნაწერების სახლში სახმარებლად გაცემისათვის. 4. 1920 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში. 5. წ.-კ. გ. საზ. ახალი წესდების პროექტი.

ტექნიკუმების რევიზია. განათლების სამინისტროსაგან ტფილ. პოლიტექნიკურ სასწავლებლის დირექ. დავალებული აქვს მოახდინოს ყოველმხრივი რევიზია „კავკასიის“ და „ტფილისის“. ტექნიკუმ. რევიზია უკვე დაიწყო. ვისაც რაიმე განსაცხადებელი აქვს რევიზიასთან დაკავშირებულ საკითხების გამო, შეუძლია წერილობით ან პირადად მიმართოს ინჟ. ვ. კაკაბაძეს, დიდი მთავრის ქ., № 70, პოლიტექნიკური სასწავლებელი.

ოფიცერთა ეკონომიური ხაზ. ოფიცერთა ეკონომ. საზოგად. გამგეობა ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ საზოგადოების მაღაზიაში, კირკის ქ., № 7, ყოველ დღე იყიდება დაწესებულ ნიხრის ფასით ხორცი, როგორც ძროხის აგრეთვე ცხვრის და სხვა. ხორცით ვაჭრობა იწყება დილის 7 საათზე.

პურის ლირსების გაუმჯობესება. შრ. სამ. მიმართა ტფ. ქალაქის მოურავს თხოვნით, რომ მან მიიღოს ზომები მუშათა მაგ-

დისათვის იმ პირის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც ქალაქის ფურნეებში ცხვება. შრომის სამინისტრო აღნიშნავს, რომ იგი აგზავნის წმინდა ნორბალს და მუშებისაგან შემოდის საჩივარი იმის შესახებ, რომ მიღებული პური ყოველთვის არ არის კარგი ღირსების.

კანტრიული ბაზარზე. შრომის სამინისტროში მუშავდება კანონ-პროექტი ბაზრის კონტროლიორების უფლებებსა და ვალდებულებების შესახებ.

ქართული სახელმწიფო ბანკი. 18 ივნისს დაიწყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის ქონების საქართველოს სახელმწიფო ბანკზე გადაცემა. კანტორის უძრავი და მოძრავი ქონება გადაიცემა საქართველოს სახელმწიფო ბანკის განკარგულებაში. წიგნები, დოკუმენტები და ძვირფასი ნივთები საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეობას მიეცემა შესანახად. რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორა გადადის შენობაში, გრიბოედოვის ქუჩაზე და თავის საქმეების ლიკვიდაციას შეუდგება.

სასურსათო კავშირში. მუშათა სასურსათო კავშირის გამგეობამ დაადგინა: მოსულმა მუშებმა ბირჟაში ჩაწერის დროს უნდა წარადგინონ საბუთები სპეციალობისა. იმ შემთხვევაში, თუ ცნობები არ იქნა ნამდვილი, ამ მუშებს შრომის ბირჟაში რეგისტრაციის ნება არ ექნებათ. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა პროფესიონალური კავშირის სეკრეტარიატმა.

სატარიფო პალატის განმარტება. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საინფორმაციო განყოფილების შეკითხვაზე სატარიფო პალატამ განმარტა, რომ მუშებისა და მოსამსახურეებისადმი დახმარების შესახებ გამოცემული ინსტრუქცია ეხება საერთოდ ყველა მუშასა და მოსამსახურესო.

იტალიის წარმომადგენელი. მატარებლის წასვლის ჟამს სადგურზე მოვიდენ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი, ვარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე და უცხო სახელმწიფოთა კონსულები. ბაქანზე იდგა საპატიო ყარაული ორკესტრით. პოლ. გაბბას გამოჩენისას ორკესტრმა ქართული მარში დაუკრა. ამავე მატარებლით გაემგზავრენ ახლო აღმოსავლეთში მომქმედ ამერიკულ დამხმარე კომიტეტის გამგე და საქართველოს რკ. გზის ექსპლოტაციის უფროსი აბელაშვილი.

არა ქართველ კომუნისტთა გადახალება. საინფორმაციო განყოფილების ცნობებით იმ კომუნისტებმა, რომელთაც ბრალი ედებათ საქართველოში არსებულ მთავრობის წინააღმდეგ არა ლეგალურ მუშაობაში და აჯანყებულებთან კავშირში და რომელნიც საქართველოს ქვეშევრდომნი არ არიან, 3 დღის განმავლობაში უნდა დასტოვონ საქართველოს საზღვრები. კომუნისტთა ამ ნაწილმა უკვე აღასრულა ეს მოთხოვნილება ვინც არ წავიდა, დააპატიმრეს და მეტეხი ციხეში მოათავსეს.

დაქირავების კერძო კანტორების დახურვა. პროფ. კავშირთა სეკრეტარიატმა მიმართა ქალაქის თვითმართველობას წინადადებით მიიღოს ზომები, რათა დახურეს ის კერძო კანტორები, რომელიც შრომის საქმის მიწოდების მოთხოვნილების საქმეებს აწესრიგებს. კანტორათა დაკეტვის გასამართლებლად ის საბუთი მიჰყავთ, რომ მათი მოქმედება ძლიერ ხელს უშლის ქალაქის შრომის ბირჟის მოქმედებას.

ფოსტა-ტელეგრაფი

საერთაშორისო საფოსტო კავშირი.

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა 1, დამტკიცდეს მიწერილობის ტექსტი შვეიცარიაში მყოფ საქართველოს წარმომადგენლის სახელზე საერთაშორისო საფოსტო კავშირში შესასვლელად. 2. საერთაშორისო ტარიფის საფუძვლად დაიდოს 1 ფრანკი, რომელიც 24 მან. უდრის. 3, ფოსტა-ტელეგრაფის უფროს გადაეცეს 50,000 მანეთი კავშირში შესვლის საჭიროებისათვის 2,000 ფრანკის საშოვნელად და ამ შესვლასთან დამოკიდებული ხარჯების დასაფარავად.

ბაქოსთან დამოკიდებულების აღდგენა. ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობას აუწყებენ, რომ ახლო მომავალში ბაქოსთან აღდგენილი იქნება ტელეფონ-ტელეგრაფით დამოკიდებულება.

საფოსტო-სატელეგრაფო დამოკიდებულება რუსეთთან.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოდან იუწყებიან: სამმართველო ფიქრობს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლისათანავე შევიდეს მასთან მოლაპარაკებაში საბჭოთა რუსეთთან საფოსტო-სატელეგრაფო დამოკიდებულების აღდგენის შესახებო.

საქალაქთ-შორისო ტელეფონი.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო ფიქრობს ახლო ხანში შეუდგეს სატელეფონო დამოკიდებულების მოწყობას დასავლეთ საქართველოს ქალაქთა შორის, ე. ი. სამტრედიასა, ფოთსა, ოზურგეთსა და ზუგდიდს შორის.

ფოსტა-ტელეგრაფისადმი დავალიანება.

ფოსტა-ტელეგრაფის მართველობის ცნობით მისდამი დავალიანება იმ დაწესებულებისა, რომელთაც უფლება აქვთ ნისიათ გაგზავნონ დეპეშა, აღწევს 1,600,000 მან. გადახდა ივვიანებს უმეტეს ნაწილად ანგარიშის შემოწმების გამო. გაგზავნ-გამოგზავნა ფოსტით. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ 1919 წლის მუშაობის ანგარიში შეადგინა. ამ ერთი წლის განმავლობაში გადატანილი და გაგზავნილ იყო: უბრალო ბანდეროლებით და პერიოდული გამოცემებით 160,707 დაზღვეული წერილი 75,556, განცხადებულ ფასებით 6,960—14,363,052 მანეთის, გადაგზავნა—42,049—147.201,186 მან. ღირებულების ამანათები ფასიანი 3,118 უფასო 7,900 და დეპეშა 707,577 სულ გაგზავნილი და გადატანილია 2,443,867.

მილიციაში

— სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო 10 მცირეწლოვანი ჯიბგირი და გაგზავნა მცხეთაში მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალენში.

— მაგდალინა ნ. ლორთქიფანიძემ განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას ბინიდან მოჰპარეს ნივთები, ღირებული 150,000 მან. სისხლ. სამ. მილიციამ გამოარკვია, რომ ნივთები მოუპარავს, დიმიტრი ოჩკაროვს, რომელიც ცხოვრობდა ლორთქიფანიძის ბინაზე. ოჩკაროვი ქურდობაში გამოტყდა. ნივთები გადაეცა პატრონს.

— 17 ივნისს ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას ბინიდან მოჰპარეს ნივთები, ღირებული 33000 მან. სისხლ. სამ. მილიციამ გამოარკვია, რომ ნივთები მოუპარავს არმენაკ მუკელიანცს, რომელიც მეორე დღესვე შეიპყრეს. ის ქურდობაში გამოტყდა. ნივთები ყველა აღმოჩნდა და პატრონს ჩაბარდა. მუკელიანცი დაპატიმრებულია. საქმე სასამართლოს გადაეცა.

— სიმონ ა. ბელოკენმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მისმა საცოლემ მარიამ შკურატინამ მოჰპარა მას ქსოვილები და ფული სულ 60.000 მან. მილიციამ შეიპყრო შკურატინა. მას აღმოაჩნდა მოპარული ნივთები და ფული რომელიც მის საქმროს გადაეცა. საქმრო ბელოკენი 70 წლისაა.

განცხადებანი

საქართველოს მუზეუმის შენობისათვის საჭიროა სველი

გასახვევი ქაღალდი

„ბიბულა"-დ წოდებული. ცნობების მიღება: საქართველოს მუზეუმის საალმშენებლო კომისიის კანცელარიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10) ყოველ სამუშაო დღეს დილის 9—2-მდის. 1567 3—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რომ, 1920 წ. ივნისის 24-ს დილით 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ქ. სასწორზე რომელიც მდებარეობს მოლოკანის მოედანზე მე-11 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 1—2 საათზე.

654 3—1 **ქალაქის გამგეობა,**

დაიკარგა პასპორტი სააკ ნიკიტას ძე ზურაბიანის სახელზე, მიღებული ჯალალოღლის საზოგადოების სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1533 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობიდან, მეტრიკული ამონაწერი—1896 წელს 25 მაისს დაბადების და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გიორგი დავითის ძე ოტიაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1534 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული გვარდიის მთავარ შტაბის საექიმო სასანიტარო განყოფილებიდან და სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მიღებული მოწმობა—დომენტი გიორგის ძე ჩოგოვაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1536 3—1

დაიკარგა 1914 წ. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და მოწმობა ვასილი ალექსანდრეს ძე გვიჩიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1535 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვასილი ზაქარიას ძე ოთვაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1540 3—1

დაიკარგა ქალაქის გამგეობის მიერ გაცემული საჩაიეს გახსნის ნებართვა. 5 აპრილი № 820. ასად ულა თეუმურ-ოღლის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4546 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 3668 მარიამ ანდრია ავდეევის ასულის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1547 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 2593 მიხეილ ყაზარის ძე მანუჩარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სომხეთა კონსისტორიისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1548 3—1

დაიკარგა ფულით დახმარების წიგნაკი № 34 მარიამ გიორგის ასული მაჩაბელის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1524 3—

დაიკარგა პასპორტი № 177, მიღებული ბალაშოვის მაზ. (სარატოვის გუბ.) ერობიდან სტეფანიდა ნიკოლოზის ასულის სემშეროვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს 1472 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 669 მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან უმცროს მილიციელის სტანისლავ ვიკენტის ძე ბარანოვსკის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1471 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1506 კ. კ. ზენილოვას სახელზე მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერისაგან 1909 წ. თებერვლის 25-ს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1470 3—1

ბესლან—ქუთაის—კოპიტნარის რკინის გზის ამხანაგობა აცხადებს, რომ ამხანაგობის ფაი № 105 ღირებული 3000 მინეთათ დაიკარგა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1493 3—1

13 ივნისს ტფილისის რკინის გზის სადგურზე ვიპოვე საფულე პატრონს ვსთხოვ მოიკითხოს ავქსენტი აბესაძესთან სამხედრო სამინისტროში. 1494 3—1

სოფელ ჩხარში მცხოვრებს მოქალაქე ივლიანე დიმიტრის ძე ზარნაძეს დაეკარგა ჩხარის მომრიგებელ მოსამართლისაგან მიღებული აღსრულებითი ფურცელი 1918 წლის № 412 ივანე სიმონის ძე შოთაძესთან ადგილის შესახებ დავისა. ფურცელი გაუქმებულად ითვლება დღიდან ამ განცხადებისა. 652 3—1

მაქსიმე პავლეს ძე გიგაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი პასპორტი მიცემული ქ. ტფილისის მე-3 უბნის სამილიციო სამმართველოდან, 23-ით გაუქმებულად ჩაითვალოს. 1421 1—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1912 წ. № 3164 აკაკი გაბრიელის ძე ოთხმეზურის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1542 3—1

დაიკარგა ახალციხის ქალაქის გამგეობის მიერ პირველ ივნისს 1920 წ. № 1286 პასპორტი და სამსახურის ნუსხა გაცემული ახალციხის სემხედრო უფროსის მიერ პირველ მაისს 1920 წ. № 3 პავლე იოსების ძე ლალებაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1543 3—1

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული ტფილ. ოლქ, სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1917 წ. მაისის 4-ს, რეესტრი № 1218 მარიამ არტემის ასულის ბუდაგოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1510 3—1

დაიკარგა ხუთწლიანი პასპორტი, მიღებული ასხაბადის პოლიციის სამმართველოდან 1919 წ. ივლისის 20-ს, № 1439 ილია იოსების ძე აბრამოვის (იგივე გრენოვი) სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1508 3—1

მე-10, 11 და 12 უბ. გადასახადთა ბიუროს აგენტი ამით აცხადებს, რომ არუთინ ნიკოლოზის ძე ტერ-ხაჩატუროვს დაეკარგა: 1) პირადობის მოწმობა № 250, რომელიც მიღებული აქვს კოროჯოროძის, ეჩმიაძინის მაზრა, ერევნის გუბერნია, სოფლის კომისარისაგან და 2) ჩემზგნით მიცემული 19 ნოემბერს 1919 წ. № 882 მოწმობა, რომ იგი ტერ-ხაჩატუროვი მსახურობს დეზერტირის ბაზარში მეეზოვეთ. ამ მოწმობების მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინონ ხსენებულ აგენტის კონტორაში ჩერქეზიშვილის ქ. № 87—წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 1491 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ანდრეევის ქ., № 91, მდებარე სახლი, რომელიც ეკუთვნის მართა ბაგდანოვის ასული გაუს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1505 3—2

დაიკარგა ატესტატი ტფილისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიის მიერ გაცემული 1914 წ. და დამატებითი კლასის დამთავრების მოწმობა 1915 წ. ალექსანდრე ტიტეს ძე ფეფელოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1519 3—3

დაიკარგა მოწმობა № 63 სტ. გიორგი ოქროპირის ძე ნიკოლაიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1489 3—3

სავაჭრო სასურსათო საზედამხედველოს აგენტათ ყოფილ იონა დავითის ძე მინდელის სახელზედ სასურსათო განყოფილებისაგან გაცემული მოწმობა 1919 წ. ნოემბრის თარიღით გაუქმებულია, რასაც ქ. ვ. სასურსათო განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ. 649 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 15 ივლისს 1885 წ. № 763 რეესტრით ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1504 3—3

დაიკარგა ატესტატი № 598, გაცემული ტფილისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიის მიერ 1914 წ. და მოწმობა იმავე სასწავლებლის დამატებითი კლასის № 501. ივანე დავითის ძე სერებრიაკოვას სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1518 3—3

ნახშირა-ტყიბულის

სამთო-მადნო საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ თანახმად 1920 წლ. 24 აპრილს, მომხდარ აქციონერთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება საზოგადოების ლიკვიდაცია, რის გამო ბ. აქციონერები უნდა გამოცხადდენ საზოგადოების გამგეობაში, სოლოლაკის ქუჩა, № 14 და წარმოადგინონ თავიანთი აქციები 1920 წლის 1 ივლისამდე, რათა მიიღონ ხვედრი ფული 900 მანეთი თითეულ აქციაზე. 1559 2—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.